

სს „რუსთავის #2 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის“-ს
(საიდენტიფიკაციო კოდი 216314977.....)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შესავალი -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4-5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	8-14

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს „რუსთავის
„სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი.“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ
მდგომარეობას :

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს,
მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია
მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

სს რუსთავის #2 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	289066	390425
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	800335	881231
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	178130	0
მარაგები	360058	344677
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	360058	344677
საინვესტიციო ქონება	263866	277754
სხვა მოკლევადიანი აქტივები	720	4892
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2727	3636
ძირითადი საშუალებები	4225287	4150210
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5146	5146
სულ აქტივები	6125335	6057971
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	165520	130614
ანარიცხები	3463	3383
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	291192	245671
საგადასახადო ვალდებულებები	98600	92033
გამომუშავებული შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	270200	309760
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	8175	5582
სულ ვალდებულებები	837150	787043

საკუთარი კაპიტალი	31/12/2022	31/12/2021
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1772076	1772076
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3514549	3497292
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1560	1560
სულ საკუთარი კაპიტალი	5288185	5270928
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6125335	6057971
სულ მოკლევადიანი აქტივები	1628309	1621225
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	558775	477283

დირექტორი:

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

	2022	2021
ამონაგები	4108529	3959303
თვითღირებულება	-380244	-420278
საერთო მოგება	3728285	3539025
სხვა შემოსავლები	191950	205260
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3181605	-2675510
ცვეთა ამორტიზაცია	-186931	-188802
სხვა ხარჯი	-37535	-1398
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-496907	-468066
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი)	(0)	(0)
მოგება	17257	410509

დირექტორი:

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	1772076	1560	3497292	5270928
წმინდა მოგება			0	0
სხვა სრული შემოსავალი გაცემული დივიდენდი საწესდებო კაპიტალის ზრდა			0	0
2022 წლის 31 დეკემბერი	1772076	1560	3514549	5288185

დირექტორი:

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„სს რუსთავის #2 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1999 წლის 23 სექტემბრიდან. რეგისტრაციის 268/279623. კომპანია დარეგისტრირებულია რაიონული სასამართლოს მიერ, მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი # 216314977.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების გაწევა.

კომპანიას გააჩნია ოფისი ქ. რუსთავში მესხიშვილის ქ#1ა, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის იურიდიულ მისამართს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს ჰიგია. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 1772076,00 ლარს. 2022 წელს კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 229 ადამიანი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები და ტერმინთა განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს მხარეებს შორის საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად.**

მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო** შეწონილის მეთოდით.

შემოსავალი

შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, დამკვეთთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

სახელფასო განაცემები

ხელფასების აღიარდება ხდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
პერიოდი	აშშ დოლარი (USD)	ევრო (EUR)
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

4. ძირითადი საშუალებები (ლარში)

	შენიშნა ნაგებობე ბი	მიწის ნაკვე თი	ოფისის აღჭურვი ლობა	მანქანა დანადგ არები	არამატერ იალური აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2935353	15470	1416863	29509	3636	30769	4431600
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2945771	15470	1471124	27149	2727	29639	4491880

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2021	31/12/2021
ფული სალაროში	1853.00	5813.00
ფული საბანკო ანგარიშებზე	287213.00	384612.00

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	800335	881231
მოთხოვნა მიწოდებიდან		
სხვა მოთხოვნები	178130	0

7. მარაგები

მარაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ნედლეული და მასალა	360058	344677
მზა პროდუქცია	0	0-
საქონელი	0	0
	<u>0</u>	<u>0</u>

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	165520	130614
გადასახელი ხელფასები	291192	245671
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსი)	110238	100998
გრძელვადიანი ვალდებულებები	270200	309760
	<u>837150</u>	<u>787043</u>

9. სესხები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ბანკის სესხები	0	0
დაკავშირებული მხარეების სესხები		
	<u></u>	<u></u>

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2022	31/12/2021
შრომის ანაზღაურება	3181605	2675510
ცვეთა და ამორტიზაცია	186931	188802
ბანკის საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	2640	2640
კომუნიკაციის ხარჯი	15040	14423
კომუნალური ხარჯი	170191	162448
სხვა საოპერაციო ხარჯი	689280	708833
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	37535	1398
სულ ხარჯის ჯამი:	4283222	3754054

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. ამ ეტაპისათვის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს, რომელიც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: